სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

რექტორის #84-21 ბრძანებით; 26.04.2021

რექტორის #79-23 ბრძანებით; 29.03.2023

რექტორის #98-26 ბრძანებით; 15.07.2026

სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების (გავლილი სასწავლო კურსები) აღიარების წესი

თბილისი

2026

მუხლი 1. საბაკალავრო, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე კრედიტების აღიარების პროცედურა

1. წინამდებარე წესი არეგულირებს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში გარე/შიდა მობილობის საფუძველზე გადმომსვლელი სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების (გავლილი სასწავლო კურსები) აღიარების პროცედურებს.
2. უნივერსიტეტში სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების (გავლილი სასწავლო კურსები) აღიარებას ახორციელებს მიმღები ფაკულტეტი, საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდამარეგულირებელი აქტების შესაბამისად.
3. სტუდენტის მიერ გავლილი და მიმღები საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობას ადგენს კრედიტების აღიარებს კომისია.
4. კრედიტების აღიარების კომისიის შემადგენლობაში თანამდებობრივად შედიან, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, ასევე ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით შესაბამისი ფაკულტეტის 3 აკადემიური პერსონალი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი ან/და ხელმძღვანელები. დეკანის გადაწყვეტილება აისახება კრედიტების აღიარების კომისიის სხდომის ოქმში.
5. კრედიტების აღიარების კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მის სხდომას ესწრება სამი წევრი მაინც.
6. კრედიტების აღიარების კომისიას თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი.
7. კრედიტების აღიარების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება საოქმო წესით, ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.
8. სხდომის პასუხისმგებელ მდივნად, კრედიტების აღიარების კომისიის სხდომაზე, ხმის უფლების გარეშე, ფაკულტეტის დეკანის მიერ შეიძლება მოწვეულ იქნას უნივერსიტეტის სხვა პერსონალი.
9. კრედიტების აღიარების კომისია ვალდებულია სტუდენტს გააცნოს აღიარებული კრედიტების შესახებ ინფორმაცია, რომელიც აისახება კრედიტების აღიარების ბარათში.
10. აღიარებული კრედიტების შესახებ ინფორმაციის გაცნობის ფაქტს სტუდენტი ადასტურებს კრედიტების აღიარების ბარათზე ხელმოწერით.
11. კრედიტების აღიარების კომისია უფლებამოსილია სტუდენტს მოსთხოვოს წარმოადგინოს გამომშვები უსდ-ს სილაბუსი, სასწავლო კურსის აღმწერი ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტაცია, რომელიც საჭირო იქნება საკითხის გადასაწყვეტად, აღნიშნული დოკუმენტაცია თან ერთვის ოქმს და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

12. კრედიტების აღიარების ბარათს ხელს აწერს ფაკულტეტის დეკანი.
13. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური კრედიტების აღიარების ბარათის მიხედვით აწარმოებს შესაბამის საქმიანობას, უზრუნველყოფს აღიარების ბარათის ასლის დამზადებას, მიღების თარიღის პრინციპით მის დახარისხებას და შენახვას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში.
14. კრედიტების აღიარების ბარათის დედანი და ყველა საჭირო დოკუმენტაცია თან ერთვის ოქმს და ინახება ფაკულტეტზე.
15. უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, სასწავლო პროცესის დასრულებამდე განცხადებით მიმართოს ფაკულტეტის დეკანს არაღიარებული კრედიტების აღიარების მოთხოვნით, რაც გამოწვეული იქნება ტექნიკური ხარვეზით, ახლად აღმოჩენილი ან სხვა ნებისმიერი გარემოების არსებობით.
16. სტუდენტის განცხადების საფუძველზე ფაკულტეტის დეკანი იწვევს კრედიტების აღიარების კომისიას საკითხის განსახილველად.
17. დამატებით კრედიტების აღიარების შემთხვევაში დგება ახალი ოქმი და კრედიტების აღიარების ბარათი, რომელშიც მიეთითება ახლად აღიარებული კრედიტების შესახებ ინფორმაცია. ოქმი და ბარათი მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების ოქმის განუყოფელ ნაწილად.
18. თუ თავისუფალი კომპონენტის კრედიტების რაოდენობა ასაღიარებელი კრედიტების რაოდენობაზე მეტია, კომისია ამ კურსებიდან, სტუდენტთან შეთანხმებით, ირჩევს იმ სასწავლო კურსებს, რომლებშიც სტუდენტს ყველაზე მაღალი შეფასება აქვს.
19. კრედიტების აღიარების კომისია თითოეული სტუდენტის განცხადებას განიხილავს ინდივიდუალურად და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. კრედიტების (გავლილი სასწავლო კურსები) აღიარების ბარათი და ოქმი ივსება თანდართული ფორმების შესაბამისად (დანართი №1.1, დანართი №1.2, დანართი №1.3).

მუხლი 2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე კრედიტების აღიარების პროცედურა

1. წინამდებარე წესი არეგულირებს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში გარე/შიდა მობილობის საფუძველზე სადოქტორო პროგრამაზე გადმომსვლელი სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების აღიარების პროცედურებს.
2. სტუდენტის სადოქტორო პროგრამაზე მობილობა ხორციელდება იმავე პროცედურის დაცვით, რაც დადგენილია სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის ზოგადად.
3. სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების (გავლილი სასწავლო კურსები) აღიარებას ახორციელებს სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული სადისერტაციო კომისია.

4. სტუდენტის მიერ გავლილი და მიმღები საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობას ადგენს სადისერტაციო კომისია.
5. სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობს სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელი.
6. სადისერტაციო კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარი მაინც.
7. სადისერტაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება საოქმო წესით, ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.
8. სასწავლო კრედიტების აღიარების გარდა, კომისია განიხილავს სტუდენტის მიერ დამუშავებული სადოქტორო დისერტაციის მასალების ხარისხს, მოცულობას და ამის საფუძველზე განსაზღვრავს, თუ რომელ სემესტრში ჩაირიცხება დოქტორანტი და რა რაოდენობის კოლოკვიუმი ექნება მას დასამუშავებელი (შესაბამისად, რამდენი დადებითი დასკვნა ექნება მისაღები).
9. კრედიტების აღიარების კომისია ვალდებულია სტუდენტს გააცნოს აღიარებული კრედიტების შესახებ ინფორმაცია, რომელიც აისახება კრედიტების აღიარების ბარათში.
10. აღიარებული კრედიტების შესახებ ინფორმაციის გაცნობის ფაქტს სტუდენტი ადასტურებს კრედიტების აღიარების ბარათზე ხელმოწერით.
11. კრედიტების აღიარების კომისია უფლებამოსილია სტუდენტს მოსთხოვოს წარმოადგინოს გამომშვები უსდ-ს სილაბუსი, სასწავლო კურსის აღმწერი ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტაცია, რომელიც საჭირო იქნება საკითხის გადასაწყვეტად, აღნიშნული დოკუმენტაცია თან ერთვის ოქმს და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
12. კრედიტების აღიარების ბარათს ხელს აწერს სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელი.
13. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური კრედიტების აღიარების ბარათის მიხედვით აწარმოებს შესაბამის საქმიანობას, უზრუნველყოფს აღიარების ბარათის ასლის დამზადებას, მიღების თარიღის პრინციპით მის დახარისხებას და შენახვას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში.
14. კრედიტების აღიარების ბარათის დედანი და ყველა საჭირო დოკუმენტაცია თან ერთვის ოქმს და ინახება სადოქტორო სკოლაში სადოქტორო პროგრამების კოორდინატორთან.
15. უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, სასწავლო პროცესის დასრულებამდე განცხადებით მიმართოს სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელს არაღიარებული კრედიტების აღიარების მოთხოვნით, რაც გამოწვეული იქნება ტექნიკური ხარვეზით, ახლად აღმოჩენილი ან სხვა ნებისმიერი გარემოებით.

16. სტუდენტის განცხადების საფუძველზე სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელი მიმართავს სადისერტაციო საბჭოს, რომელიც წყვეტს სადისერტაციო კომისიის მოწვევის საკითხს.
17. დამატებითი კრედიტების აღიარების შემთხვევაში დგება ახალი ოქმი და კრედიტების აღიარების ბარათი, რომელშიც მიეთითება ახლად აღიარებული კრედიტების შესახებ ინფორმაცია. ოქმი და ბარათი მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების ოქმის განუყოფელ ნაწილად.
18. კრედიტების აღიარების კომისია თითოეული სტუდენტის განცხადებას განიხილავს ინდივიდუალურად და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. კრედიტების (განვლილი სასწავლო კურსები) აღიარების ბარათი და ოქმი ივსება თანდართული ფორმების შესაბამისად (დანართი №1.4, დანართი №1.5, დანართი №1.6).

მუხლი 3. უცხოეთში მიღებული კრედიტების აღიარების პროცედურა

1. იმ შემთხვევაში თუ მობილობის მსურველი სტუდენტის გამომშვები უსდ იყენებს განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, მაშინ სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს გამომშვები უსდ-ს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც მიეთითება ამ სისტემის შესაბამისობა ECTS სისტემასთან.
2. იმ შემთხვევაში თუ მობილობის მსურველი სტუდენტის გამომშვებ უნივერსიტეტს არ გააჩნია ECTS საკრედიტო სისტემა, ან სასწავლო კურსი სტუდენტმა ჩააბარა ახალი სისტემის შემოღებამდე, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს სასწავლო ბარათი, სადაც მითითებული იქნება სტუდენტის მიერ შესწავლილი კურსის მოცულობა აკადემიურ/საკონტაქტო საათებში. აღნიშნული კურსებისთვის კრედიტების მინიჭება ხდება პირობითად, მიენიჭება კრედიტების ის რაოდენობა, რაც უნივერსიტეტში საკონტაქტო საათების მიხედვით ანალოგიური მოცულობის სხვა სასწავლო კურსებს აქვთ (ან სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით (თეორიული ხასიათის/პრაქტიკული ხასიათის) განესაზღვროს კრედიტი).
3. სტუდენტი ვალდებულია კრედიტების აღარების თხოვნით უნივერსიტეტს მიმართოს მობილობის დასრულებიდან არაუმეტეს 4 თვის ვადაში.
4. კრედიტების აღიარების კომისია თითოეული სტუდენტის განცხადებას განიხილავს ინდივიდუალურად და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. კრედიტების (გავლილი სასწავლო კურსები) აღიარების ბარათი და ოქმი ივსება თანდართული ფორმების შესაბამისად (დანართი №1.1, დანართი №1.3).
5. ის საკითხები, რომლებიც არაა მოწესრიგებული მე-3 მუხლით, რეგულირდება ამ დებულების სხვა მუხლების შესაბამისად/ანალოგიით.

მუხლი 4. განსხვავებული შეფასების სისტემებისა და რამდენიმე სასწავლო კურსის თავსებადობის დადგენის წესი

1. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ სხვა უსდ-ში ან იმავე უსდ-ს სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გავლილი რამდენიმე სასწავლო კურსი

შინაარსობრივად ფარავს მიმღები პროგრამის ერთ სასწავლო კურსს, კომისია ახორციელებს ამ კურსების კუმულაციურ აღიარებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აღიარებული სასწავლო კურსის საბოლოო ქულა გამოითვლება შეწონილი საშუალოს პრინციპით, სადაც თითოეულ საგანში მიღებული ქულა მრავლდება ამავე საგნის კრედიტების რაოდენობაზე, მიღებული ნამრავლების ჯამი იყოფა გავლილი საგნების კრედიტების საერთო რაოდენობაზე და მიღებული შედეგი მრგვალდება მთელ ციფრამდე, მათემატიკური დამრგვალების წესით. გამოთვლა ხორციელდება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$\frac{(m^1 * C^1) + (M^2 * C^2)}{C^1 + C^2} = \text{საბოლოო აღიარებული შეფასება}$$

სადაც:

- $M^1, M^2, M^3 \ldots$ – სტუდენტის მიერ გავლილ სასწავლო კურსებში მიღებული კონკრეტული ქულები;
- $C^1, C^2, C^3 \ldots$ – სტუდენტის მიერ გავლილი შესაბამისი სასწავლო კურსების კრედიტების (ECTS) რაოდენობა.

3. იმ შემთხვევაში, თუ გამომშვებ უსდ-ში მოქმედებს 100-ქულიანი სისტემისგან განსხვავებული შეფასების სისტემა (მაგ. 30-ქულიანი და სხვ.), ქულის გადაყვანა 100-ქულიან სისტემაში ხდება პროპორციული წესით, ფორმულის მიხედვით (სტუდენტის მიერ მიღებული ქულა იყოფა გამომშვებ უნივერსიტეტიში მოქმედი სისტემის მაქსიმალურ ქულაზე და მრავლდება 100-ზე):

$$\frac{\text{სტუდენტის ქულა}}{\text{გამომშვები უნივერსიტეტის მაქსიმალური ქულა}} * 100 = \text{საბოლოო ქულა}$$

დანართი №1.1

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
Sulkhan-Saba Orbeliani University

სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების (გავლილი სასწავლო კურსების) აღიარების ბარათი
(განათლების აღიარება/გარე მობილობა/გაცვლითი პროგრამა)

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ	
სახელი და გვარი:	
სტუდენტის პირადი/პასპორტის ნომერი:	

ინფორმაცია გამომშვები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) შესახებ:	
უსდ-ს დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
უმაღლესი განათლების საფეხური:	
საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წელი	

ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ:	
ფაკულტეტის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	

მიღებული კრედიტების ანალიზი:					
შესწავლილი სასწავლო კურსები	კრედიტი (ECTS)	შეფასება	აღიარებული სასწავლო კურსები:	კრედიტი (ECTS)	შეფასება

			სულ აღიარებული კრედიტების რაოდენობა:		

შემაჯამებელი ინფორმაცია აღიარებული კრედიტების (სასწავლო კურსების) შესახებ:	
აღიარებული კრედიტების რაოდენობა:	
მისაღები კრედიტების რაოდენობა	
სწავლის გაგრძელების სემესტრი	

დასკვნა	

ფაკულტეტის დეკანი:

ხელმოწერა

გავეცანი აღიარებული კრედიტების რაოდენობას.

სტუდენტის ხელმოწერა:_____

თარიღი:

დანართი №1.2

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
Sulkhan-Saba Orbeliani University

სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების (გავლილი სასწავლო კურსების) აღიარების ბარათი
(შიდა მობილობა)

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ	
სახელი და გვარი:	
სტუდენტის/პასპორტის პირადი ნომერი:	

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
უმაღლესი განათლების საფეხური:	
ფაკულტეტი:	
უსდ-ში ჩარიცხვის ბრძანება :	# თარიღი:

ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ:	
ფაკულტეტის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	

მიღებული კრედიტების ანალიზი:					
შესწავლილი სასწავლო კურსები	კრედიტი (ECTS)	შეფასება	აღიარებული სასწავლო კურსები:	კრედიტი (ECTS)	შეფასება

			სულ აღიარებული კრედიტების რაოდენობა:		

შემაჯამებელი ინფორმაცია აღიარებული კრედიტების (სასწავლო კურსების) შესახებ:	
აღიარებული კრედიტების რაოდენობა:	
მისაღები კრედიტების რაოდენობა	
სწავლის გაგრძელების სემესტრი	

დასკვნა	

ფაკულტეტის დეკანი: _____ _____ ხელმოწერა _____ _____

გავეცანი აღიარებული კრედიტების რაოდენობას.

სტუდენტის ხელმოწერა:_____

თარიღი:

დანართი №1.3

შ.პ.ს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის

კრედიტების აღიარების კომისიის

სხდომის ოქმი №_____

თბილისი __
_____20__

სხდომას ესწრებოდნენ:

1. _____
2. _____
3. _____

სხდომის თავმჯდომარე _____

სხდომის მდივანი _____

დღის წესრიგი:

მოისმინეს:----------

მხარი დაუჭირა -

თავი შეიკავა -

წინააღმდეგი -

ოქმს თან ერთვის:

1. სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების (გავლილი სასწავლო კურსების) აღიარების ბარათი (გარე/შიდა მობილობა)
2. _____

სხდომის თავმჯდომარე -

სხდომის მდივანი -

დანართი №1.4

სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების (გავლილი სასწავლო კურსების) აღიარების ბარათი
(განათლების აღიარება/გარე მობილობა)

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ	
სახელი და გვარი:	
სტუდენტის პირადი ნომერი:	

ინფორმაცია გამომშვები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) შესახებ:	
უსდ-ს დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
უმაღლესი განათლების საფეხური:	

ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ:	
ფაკულტეტის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	

მიღებული კრედიტების ანალიზი:					
შესწავლილი სასწავლო კურსები	კრედიტი (ECTS)	შეფასება	აღიარებული სასწავლო კურსები:	კრედიტი (ECTS)	შეფასება
			სულ აღიარებული კრედიტების რაოდენობა:		

შემაჯამებელი ინფორმაცია აღიარებული კრედიტების (სასწავლო კურსების) შესახებ:	
აღიარებული კრედიტების რაოდენობა:	
მისაღები კრედიტების რაოდენობა	
სწავლის გაგრძელების სემესტრი	

ინფორმაცია აღიარებული კოლოკვიუმის რაოდენობისა და სადისერტაციო ნაშრომის შესრულების მოცულობის შესახებ

ინფორმაცია სადოქტორო პროგრამის დასასრულებლად საჭირო სემესტრების რაოდენობის შესახებ

დასკვნა	

სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელი:	_____	_____
	_____	_____
	_____	ხელმოწერა
	_____	_____

გავეცანი აღიარებული კრედიტების რაოდენობას.

სტუდენტის ხელმოწერა:_____

თარიღი:

დანართი №1.5

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
Sulkhan-Saba Orbeliani University

სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების (გავლილი სასწავლო კურსების) აღიარების ბარათი
(შიდა მობილობა)

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ	
სახელი და გვარი:	
სტუდენტის პირადი ნომერი:	

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
უმაღლესი განათლების საფეხური:	
ფაკულტეტი:	
უსდ-ში ჩარიცხვის ბრძანება :	# თარიღი:

ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ:	
ფაკულტეტის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	

მიღებული კრედიტების ანალიზი:					
შესწავლილი სასწავლო კურსები	კრედიტი (ECTS)	შეფასება	აღიარებული სასწავლო კურსები:	კრედიტი (ECTS)	შეფასება
			სულ აღიარებული კრედიტების რაოდენობა:		

შემაჯამებელი ინფორმაცია აღიარებული კრედიტების (სასწავლო კურსების) შესახებ:	
აღიარებული კრედიტების რაოდენობა:	
მისაღები კრედიტების რაოდენობა	
სწავლის გაგრძელების სემესტრი	

ინფორმაცია აღიარებული კოლოკვიუმის რაოდენობისა და სადისერტაციო ნაშრომის შესრულების მოცულობის შესახებ

ინფორმაცია სადოქტორო პროგრამის დასასრულებლად საჭირო სემესტრების რაოდენობის შესახებ

დასკვნა	

	_____	_____
სადოქტორო სკოლის ხელმძღვანელი:		ხელმოწერა
	_____	_____
	_____	_____

გავეცანი აღიარებული კრედიტების რაოდენობას.

სტუდენტის ხელმოწერა:_____

თარიღი:

დანართი №1.6

შ.პ.ს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის

კრედიტების აღიარების კომისიის

სხდომის ოქმი №_____

თბილისი __ _____20__

სხდომას ესწრებოდნენ:

4. _____
5. _____
6. _____

სხდომის თავმჯდომარე _____

სხდომის მდივანი _____

დღის წესრიგი:

მოისმინეს:----------

მხარი დაუჭირა -

თავი შეიკავა -

წინააღმდეგი -

ოქმს თან ერთვის:

3. სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების (გავლილი სასწავლო კურსების) აღიარების ბარათი (გარე/შიდა მობილობა)
4. _____

სხდომის თავმჯდომარე -

სხდომის მდივანი -